პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 104 (1274) | კვირა, 31 აგვისტო, 1958 წ. | გამოცემის მე-15 წელი. | ფასი 80 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეს ჩვენი
ეს ჩვენი
ეს ჩვენ
ეს ჩვენ
ეს ჩვენ

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი



სურათზე: მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი — საქართველოს წყალბურთელთა გუნდი.

შეფეგი დაეხმარნენ

ქობულეთელთა მიმართვის პასუხად ქუთაისის მთელმა რიგმა საწარმოებმა შეფობა აიღეს ქალაქის სკოლებზე ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადებისათვის. სხვა ვალდებულებებთან ერთად მათ გადაწყვიტეს წესრიგში მოიყვანონ სკოლების სპორტული მოედნები, დარბაზები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ ამ მხრივ უკვე ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები. ქარხნის დახმარებით წესრიგში იქნა მოყვანილი 1-ლი საშუალო სკოლის სპორტული ბაზა, მე-14 საშუალო სკოლის ეზოში მოეწყო სპორტული მოედანი.

კარგი სანახავია მე-17 საშუალო სკოლის სპორტდარბაზი რემონტის შემდეგ. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ლიტოპონის ქარხანას. ქარხნის ინიციატივითა და დახმარებით სკოლის სპორტულ მოედანზე მოეწყო დაბრკოლებათა ზოლი.

ხერიოზული დახმარება აღმოუჩინა რიონპესის სამმართველომ მე-16 საშუალო სკოლას. აქ აგებულ იქნა სპორტული დარბაზი. წელს ამ სკოლის მოსწავლეები სპორტულ შეჯიბრებებსა და სექციების მეცადინეობას ახალ დარბაზში ჩაატარებენ.

მაგრამ მე-4 საშუალო სკოლის მოედნები მოუწყობელია, მართალია, შეფმა (საკონსერვო ქარხანა) სკოლას გადასცა 1000 მანეთის სპორტული ინვენტარი, მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი.

ზ. ვესენგისერი

დედაქალაქის ზოგიერთ სკოლაში

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი. ათასობით ჭაბუკი და გოგონა ახალი ენერგიით შეუდგება სწავლას, მაგრამ როგორ ფიქრობთ, განა ისინი დაივიწყეებენ სპორტს? სრულებითაც არა. ნორჩებმა კარგად იციან, რომ მათი თანატოლების შესანიშნავი გამარჯვება სპარტაკიადაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგია. ამიტომაც ვფიქრობთ, ისინი სასწავლო წლის პირველ დღიდანვე დაინტერესდებიან სპორტული ბაზების ბედით — თუ როგორ შეაკეთეს ისინი, რა ახალი ინვენტარით შეივსო სპორტდარბაზი და სხვა.

თბილისის სკოლების ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ეთქვას, რომ ამ დღეს ბევრგან მზადყოფნის მდგომარეობაში ხედებიან. სკოლების რემონტთან ერთად შეკეთებულ იქნა სპორტული ბაზები, მოეწყო ახლებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, დედაქალაქში მაინც საკმაოდ აღმოჩნდა ისეთი სკოლები, რომელთა ხელმძღვანელებმა მეორეხარისხოვან საქმედ ჩათვალეს ფიზკულტურასა და სპორტზე ზრუნვა.

სწორედ მათ შესახებ გვსურს ვილაპარაკოთ ამ წერილში.

მე-15 საშუალო სკოლას, სადაც დირექტორად ა. მათითაშვილია, არც ისე დიდხნის ისტორია აქვს: სულ რამდენიმე წელია, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხსართულიანი შენობა და მოსწავლეთა ფიზიკური წრთობის ერთადერთ საშუალებას აქ მხოლოდ სპორტდარბაზი წარმოადგენს. იქნებ სკოლას არა აქვს ღია ბაზების მოწყობის საშუალება? აქვს, როგორ არა აქვს. სკოლის დირექციას საამისო ტერიტორიაც გააჩნია და სურვილიც. მაგრამ, აგერ მერამდენე წელია არ იქნა და ვერ დაითანხმა წყალთა მეურნეობის მუშაკები, ნება მიეცათ სკოლისავე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მოეწყოთ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

— არ შეიძლება, ტერიტორიაზე წყლის მაგისტრალი გადის, ვინ იცის რა მოხდეს!—თქვეს და კარი მიუხურეს თხოვნით მისულ დირექტორს.

კი მაგრამ, თუ კი შეიძლება, რომ მაგისტრალი გზატკეცილის ქვეშ გადიოდეს, რომელზეც განუწყვეტლივ დადის მძიმე ტრანსპორტი, რატომ არ შეიძლება, რომ სკოლამ მოედნები მოაწყოს და ბავშვებს ფიზიკური წრთობის ნორმალური პირობები შეუქმნას? ვფიქრობთ, ამ საქმეში ლენინის სახელობის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა ჩარევაა საჭირო.

„იქნებ ჩვენი სკოლის ტერიტორიაზეც წყალსადენის მილებია გაყვანილი ბაზებს რომ არ აწყობენ?“—იფიქრებენ 90-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები, მაგრამ მათ რომ უფროს ამხანაგებს ჰკითხონ, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ დაამთავრეს სკოლა, მიხვდებიან, რომ ერთ დროს აქაც ჰქონდათ მოედნები. კალათბურთის ერთადერთი ფარიც, რომელიც ეზოს დღემდე შემორჩა, სწორედ იმ ბედნიერ დროზე მიუთითებს.

ფიზაღზრდის მასწავლებლები ე. მინაევა და რ. მკრტჩიანი არ ზრუნავენ მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული ტერიტორია, ხოლო სკოლის დირექტორმა ახალგაზრდების წინაშე თავი ვალმოხდილად ჩათვალა. რამდენიმე სახეობის ახალი ინვენტარის შეძენით.

54-ე სკოლა (დირექტორი ვ. სიჭინავა) ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება დედაქალაქში სრული ზომის დარბაზი არც აქა აქვთ (მის მაგივრობას მცირე ოთახი ასრულებს), უწინ ჰქონდათ კალათბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები, მძლეოსნობის სექტორები. მას შემდეგ, რაც სკოლის გვერდით საფუძველი ჩაეყარა ქალაქის განათლების განყოფილების ტანვარჯიშულ დარბაზს, სკოლის ბაზები ჯერ მანქანების სათარეშოდ გადაიქცა, მერე — საწყობად, ახლა კი მათს არსებობაზე საცოდავად დაგრეხილი კალათბურთის ფარებიღა მეტყველებენ.

დარბაზის მშენებლობის დამთავრება ხელშეკრულების თანახმად პირველი სექტემბრისათვის იყო განზრახული. ამ პერიოდისათვის უნდა აღედგინათ სკოლის მოედნებიც, მაგრამ მშენებლობის დღევანდელი ტემპი კიდევ რამდენიმე თვეს გააჭიანურებს ამ საქმეს.

მოუმზადებელი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს მე-60 საშუალო სკოლაშიც. აქ არა აქვთ მოედნები, დარბაზი კეთილმოუწყობელია.

თბილისის სკოლების დირექციები ბევრ სასარგებლოს შეიძენენ, თუ გაეცნობიან 88-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ი. გიორგაძე) ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობას. აქ მთელი პედკოლექტივი ფიზკულტურის მასწავლებლების ვ. ელერდაშვილისა და ი. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული სკოლის ფიზკულტურელთა წარმატებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს სკოლა სანიმუშოდ შეხვდა ახალ სასწავლო წელს. პირველხარისხოვანი ჩოგბურთის კორტი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საჭიდაო და ტანვარჯიშული დარბაზები, ოთახი მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკისათვის ყველა პირობებს ქმნიან ძლიერ სპორტსმენთა აღსაზრდელად.

სწორედ ამ კოლექტივის პედაგოგთა ნაყოფიერი მუშაობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქ არაერთი და ორი პირველთანრიგოსანი აღზარდეს: ა. ქიზიყურაშვილი, ა. ფურცელაძე, ა. როსტიაშვილი — მოსწავლეთა რეს-პუბლიკური ნაკრების წევრები კლასიკურ ჭიდაობაში, დ. დედიაშვილი — ჩოგბურთში, სპორტის ოსტატი აკრობატიკაში ვ. ნატროშვილი და სხვები.

ცნობილია თუ რა როლს თამაშობენ პირველხარისხოვანი ბაზები სპორტსმენთა აღზრდის საქმეში. სკოლების დირექციებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს მათი წესრიგში მოყვანა ახალი სასწავლო წლისათვის, აქედანვე უნდა იზრუნონ, რათა სასწავლო წლის განმავლობაში, რაც შეიძლება დროულად მოაწყონ ისინი და მოსწავლეებს შეუქმნან წვრთნის ნორმალური პირობები.

ო. გელაშვილი

ცაგერის

ცაგერის რაიონის სკოლების ხელმძღვანელებმა არდადეგების პერიოდში ბევრი რამ გააკეთეს სპორტული მოედნების უკეთ მოწყობისა და სკოლების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დარგში. ლასურიაშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ბრეგვაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები რ. ახვლედიანი და ო. ყურაშვილი) რემონტის დროს შეაკეთეს კალათბურთის მოედანი, დაიდგა ახალი ფარები, მოეწყო ტანვარჯიშული ბაქანი. ფიზკულტურულ კოლექტივს ზამთრის პერიოდისათვის არა ჰქონდა სამეცადინო ადგილი. სკოლის დირექციამ იზრუნა ამ საქმის მოსაგვარებლად და გამოყო საკმაოდ დიდი ოთახი, რომელიც შეავსო ტანვარჯიშული იარაღებით.

ჩხუტელის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი საკმაოდ ძლიერია რაიონში. სკოლას აქვს ფრენბურთის მოედანი, ტანვარჯიშული ბაქანი, სახტომი ორმოები. სულ ახლახან არდადეგების პერიოდში შეძენილ იქნა 2.000 მანეთის სპორტული ინვენტარი. მაგრამ სკოლას არ გააჩნია კალათბურთის მოედანი. სკოლის ფიზკულტურელებს წლების მანძილზე აწუხებდათ სპორტული დარბაზის უქონლობა, ამ მიმართულებით სკოლის დირექციამ გასულ წელს გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი — შენობის პირველ სართულში გამოიღო მიწა, აამაღლა ჭერი და სპორტსმენებს გადაეცა პატარა, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ვარგისი დარბაზი, რომელიც შემდეგ... სახელოსნოდ გადააკეთეს, რამაც ფიზკულტურელთა



ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლაში მზად ხვდებიან ახალ სასწავლო წელს. კაპიტალურად შეკეთდა სპორტული დარბაზი, შეიძინეს ინვენტარი. ხვალიდან ამ სკოლის ფიზკულტურელები შეუდგებიან წვრთნას მომავალი სასკოლო და საქალაქო პირველობებისათვის.

სურათზე: მე-9 საშუალო სკოლის ახლად შეკეთებული სპორტული დარბაზის ერთი კუთხე.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა

ზრდება ზაზეგის ქსელი

სპორტული დარბაზების უქონლობის გამო ბორჯომელი მოსწავლეები წლების განმავლობაში მოკლებული იყვნენ წვრთნის ნორმალურ პირობებს, რის გამო სპორტსმენებს საშუალება არა ჰქონდათ ევარჯიშათ. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით რაიონის ხელმძღვანელობამ დასახა სათანადო ღონისძიებანი ქალაქის სკოლების გაფართოებისა და მათთვის სპორტული დარბაზების მოწყობის შესახებ. ამის შემდეგ ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა დაიწყეს რკინიგზის № 15 და რუსული საშუალო სკოლისათვის, სადაც მოეწყობა სპორტული დარბაზებიც.

ახალ სასწავლო წელს რკინიგზის № 15 საშუალო სკოლის მოსწავლეები ახალ შენობაში დაიწყებენ სწავლას, პირველი სექტემბრიდან მათს განკარგულებაში იქნება კეთილმოწყობილი კაბინეტები, ლაბორატორიები და სპორტული დარბაზი. აქვე მოეწყობა ღია ბაზებიც. მალე მიიღებენ დარბაზს ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურელებიც. აქ დასახრულს უახლოვდება სკოლის მეორე ნაწილის მშენებლობა. რამდენიმე თვის შემდეგ ახალი დარბაზი ექნება რუსულ სკოლასაც.

ახალი ბაზები ბორჯომელ მოსწავლე ფიზკულტურელებს საშუალებას მისცემს ივარჯიშონ სრულწლიურად, ნორმალურ პირობებში.

ო. ივდოშვილი

არის ნაკლოვანებებიც

ბოლო ლოგინი

ბარდნალის შეიდწლიანი სკოლის მარტივი ტიპის ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმოები, ტანვარჯიშული ბაქანი დროთა მსვლელობაში დაინგრა, ახლის მოწყობაზე არავინ იზრუნა და ამის გამო სკოლა მოუმზადებელი ხვდება ახალ სასწავლო წელს.

ბ. ხვადაგიანი

 კ. ჯაფარიშვილმა დაწერა წიგნი საქართველოს მთამსვლელებზე „მთები და მთამსვლელები“. ვაქვეყნებთ ამ წიგნის ერთერთ თავს.

ალპინიზმი

საბჭოთა ალპინიზმს, რომელიც საქართველოში ჩაისახა, 35 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ენთუზიასტების მიერ დაძლეულ იქნა პამირისა და კავკასიონის მიუვალი მწვერვალები.

საბჭოთა ალპინიზმის 35 წლისთავს საქართველოს ალპინისტებმა მრავალი საინტერესო ლაშქრობა მიუძღვნეს. კავკასიონიდან განუწყვეტლივ მოდის ცნობები: ჯგუფმა სპორტის ოსტატ დ. ობოლაძის მეთაურობით დაძლია შხარის ციცაბო კედელი. წარმატებით მიმდინარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ტრავერსი, პამირიდან მოსული დეპეშები გვატყობინებენ, რომ ლენინის პიკის მოიერიშე ჯგუფმა უკვე მოაწყო მე-4 ბანაკი ზღვის დონიდან 6800 მეტრზე.

საქართველოს ალპინისტები ღირსეულად იცავენ ტრადიციას, კვლავაც გაგვახარებენ ახალი მიღწევებით.

1944 წლის მარტში სახელმოხვეჭილი ქართველი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალ. ჯაფარიძე წერდა: „ქართველ მთამსვლელებს თავის მიღწევებით, როგორც სპორტში, ისე მასობრივსა და კვლევით ალპინიზმში მტკიცედ უკავიათ მოწინავე ადგილი საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა რიგებში.

განვლილი 20 წლის განმავლობაში, როგორც ქართველ მთამსვლელთა, ისე საერთოდ საბჭოთა კავშირის ყველა მთამსვლელთა მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო საკუთარი, მშობლიური მთიანი რაიონების შესწავლისადმი და საბჭოთა ახალგაზრდობის სამთო-საბრძოლო მომზადებისადმი. ამჟამად, როდესაც გმირული წითელი არმია ულმობელად ანადგურებს მტერს და ბრძოლა გადაქცეულ მის ტერიტორიაზე, ქართველ მთამსვლელთა შორის დაიბადა დიდი სურვილი იკისრონ პიონერობა ალპინისტური ექსპედიციის ჩატარებისა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, სახელდობრ ირანის უმაღლეს მწვერვალზე დემავენდზე... აღნიშნული ექსპედიციის ჩატარება ქართველ მთამსვლელთა საპატიო საქმეს წარმოადგენს. ეს იქნება საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევა ქართველთა მიერ უცხო ქვეყანაში ორგანიზებული ექსპედიციის ჩატარებისა და პირველი შემთხვევა საბჭოთა ალპინისტური ექსპედიციისა საზღვარგარეთ“.

...და, აი, ივნისის შუა რიცხვებში უკვე კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს შესანიშნავ კურორტზე — ბაბოლსერში ვართ. იქ, სამხრეთისაკენ, ცაში აზიდული, შორეული, ნისლმოდებული ელბრუსის ქედების იქით მოჩანს ცის ფონზე ოდნავ დამჩნეული თეთრი კონუსი — ეს ზღაპრული დემავენდია, ირანისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის უმაღლესი მწვერვალი.

...გეოგრაფიული და მთამსვლელური სახელმძღვანელოებიდან და ცნობებიდან ვიცოდით, რომ ელბრუსის ქედის მძლავრი ზღუდე აღმართულია კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ და თიშავს მას ირანის შიდა ნაწილიდან, იგი გადაჭიმულია თითქმის 600 კილომეტრის მანძილზე და აზიის ბუმბერაზი ქედების — ჰინდიკუშის, ყარაყორუმისა და ჰიმალაის დასავლეთ შტოს წარმოადგენს. მართალია, ელბრუსი ამ ქედებზე გაცილებით დაბალია — მისი საშუალო სიმაღლე 4.000 მეტრს არ აღემატება და მხოლოდ ჩამქრალი ვულკანის — 5.670 მეტრის სიმაღლეზე აღმართული დემავენდის კონუსი გამოიყოფა მკვეთრად ქედისაგან. ამბობენ: აზიის ფარგლებში მთამსვლური ექსპედიცია უპირველესად ყოვლისა სატრანსპორტო ღონისძიებაა. მართლაც, სანამ აქამდე ძოვაღწიეთ საბჭოთა კავშირის საზღვრიდან — სადგ. ჯულფიდან — საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციას, საბჭოთა არმიის ოფიცერთა ჯგუფთან ერთად, მოუხდა ჯერ რკინიგზითა და ავტომანქანებით გადმოელახა მთელი ჩრდილოეთი ირანი თეირანამდე (დაახლოებით 900-კილომეტრიანი მანძილი), შემდეგ, თეირანიდან ტრანსირანის რკინიგზით კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროსკენ გამგზავრება.

ჟაზენდარანის ასტანის (ოლქის) მთავარი ქალაქიდან — სარიდან ავტომანქანებით ვიმგზავრეთ, ხოლო შემდეგ ჯორები დავტვირთეთ..

დემავენდს თითქმის არა აქვს გზის ის ნაწილი, რომელსაც მთამსვლელები „მისასვლელებს“ უწოდებენ.

სოფელ გიაზანკიდან მწვერვალამდე სულ რაღაც 14 კილომეტრია, სიმაღლეთა სხვაობა კი — 4770 მეტრს შეადგენს, ე. ი. საშუალოდ გზის ყოველ კილომეტრზე 340 მეტრით უნდა ავიწიოთ მაღლა.

დემავენდის მისადგომები დაუსრულებელი და თავისი ერთფეროვნებით მომაბეზრებელი გზაა მშფოთვარე მდინარის ხარაზ-რუდის გაყოლებით. კასპიის ზღვის სანაპირო დაბლობს რომ გასცილდები და კლდოვან ვიწრო ხეობას შეუყვები, აღარაფერი ახარებს თვალს. ჯერ მეჩხერი ჯაგნარი მაინც არის, მერე — კი თეთრი და რუხი ქარაფები საზღვრავენ ხეობას და მხოლოდ ხარაზ-რუდის შენაკადების შესართავებთანაა კაკლის ხეებით დაჩრდილული პატარა ოაზისები.

სიმაღლე საგრძნობი გახდა, როდესაც ხეობიდან დაძრულმა ნისლმა ჩვენამდე მოაღწია და ჩვენს ფეხქვეშ გადაიშალა ღრუბლების თვალუწვდენელი ზღვა, რომელშიც მხოლოდ შორეული მწვერვალები ტივტივებდნენ კუნძულებივით.

შვიდი საათი მოუნდა კულუარის დაძლევას და ცადაწვდილი კლდეების ძირში გასვლას, რომლებიც ვულკანის ძველი კრატერის ნანგრევებს წარმოადგენენ. ამ შვიდ საათში ამინდმა პირი იცვალა. გრილი ნიავი ხუთბალიან ქარად გადაიქცა, რომლის ცალკეული შკვალისებრი დინებანი სუნთქვას გვიხუთავდნენ, იტაცებდნენ კლდეებიდან თოვლს და გამეტებით გვაყრიდნენ სახეში. ერთი სიტყვით, ნამდვილი თოვლის ქარიშხალი ამოვარდა. ირგვლივ მიდამო ნისლით შეიბურა, რომელშიაც მხოლოდ ხანდახან თუ გამოჩნდებოდნენ ცადაწვდენილი ქარაფები ან ზევითკენ უსასრულოდ აზიდული თოვლის ციცაბო ქანობი. გავიარეთ დარაჯებივით აყუდებულ კლდეებს შუა და ირგვლივ ქიმებით შემოჯარული ძველი კრატერის შიგნით შევედით. დემავენდის ძველი დაშლილი კრატერის შიგნით უფრო ახალგაზრდა კონუსი აღიმართება. დემავენდი ჩამქრალი ვულკანია, მაგრამ იგი ჯერ ე. წ. სოლფატარის სტადიაშია, ანუ, რომ მისი კრატერიდან კიდევ გამოიყოფა მხრჩოლავი გოგირდოვანი გაზები.

სუნთქვა გაძნელდა. ასეთი ძლიერი ქარი რომ არ ყოფილიყო, რომელსაც ხეობიდან ცივი და სუფთა ჰაერი მოჰქონდა, ალბათ გოგირდის სუნი ამოგვახრჩობდა.

5.400 მეტრის სიმაღლეზე შევისვენეთ... ახალი ძალებით ვეკვეთეთ მწვერვალს. წინ თეთრი კონუსია, მაგრამ ფეხქვეშ თოვლი კი აღარ არის, არამედ ფხვიერი გოგირდის ფიფქებით დაფარული ფერდობი. ზევით კი ისევ ქარაფები ჩანს და იმდენად შორს, რომ გგონია ვეღარასოდეს მიაღწევ იქამდე... მაგრამ აი მწვერვალიც — ვულკანის ახალგაზრდა შიდა კონუსის კრატერის ქარაფოვან წიბოზე სამი ქიმია აღმართული. ერთი მათგანი — აღმოსავლეთისა, უფრო მაღალია და ამ ქიმის თავზე ვათავსებთ თითბრის ფირფიტას ქართული და ინგლისური წარწერით: „1944 წლის ივნისის 21-ს საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიცია კოტე ჯავრიშვილის, ალექსი ივანიშვილის, რიურიკ ჩხეიძის და კოტე ასტახიშვილის შემადგენლობით ამოვიდა მწვერვალ დემავენდზე აღმოსავლეთის კულუარით“. შემდეგ იწერება სია იმ ოცდაცამეტი საბჭოთა ოფიცრისა, რომელნიც ჩვენთან ერთად ამოვიდნენ მწვერვალზე... გაისმის პისტოლეტების სალუტი და ჯგუფი იწყებს დაბლა დაშვებას.

ეს იყო თოთხმეტი წლის წინათ. დემავენდზე ასვლა მხოლოდ ერთი ეპიზოდია ქართველ მთამსვლელთა გამარჯვებების გზაზე. მას შემდეგ ქართველ ალპინისტთა მომდევნო თაობის ოსტატები გაიპრნენ შუა აზიის უმაღლესი და უძნელესი მწვერვალებისაკენ, ავიდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს პიკზე—სტალინის მწვერვალზე, აიღეს ენგელსის, მოსკოვის და სხვა მრავალი პიკები, ტრავერსით გადალახეს დარვაზის ქედი, დაეუფლნენ დიდ სიმაღლეებზე ასვლის ოსტატობას.

ქართველი მთამსვლელების სახელი ახლა უკვე მარტო საბჭოეთში კი არაა ცნობილი, არამედ მის საზღვრებსაც გასცილდა და არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც ჩვენი სახელოვანი ოსტატები შეუდგებიან საზღვარგარეთული მთების ბუმბერაზთა ძლევამოსილ შტურმს.

საქართველოს თასზე

გრძელდება საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში.

ამ დღეებში ფოთის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ფოთელებმა — 2:1.

ჭიათურაში თამაშობდნენ ადგილობრივი „მაღაროელი“ და კასპის „განთიადი“. ანგარიშით 4:2 გამარჯვება მოიპოვეს ჭიათურლებმა.

27 აგვისტოს შედგა ნახევარფინალური მატჩი ფოთისა და ჭიათურის გუნდებს შორის. მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო ფოთელთა უპირატესობა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით — 4:0. ამ მოგებით ფოთის გუნდი ფინალში გავიდა.

28 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა განმეორებითი მატჩი ბათუმის „ჭანგურის“ და ლანჩხუთის „კოლმეურნეს“ შორის. თამაში მეტად საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. ორივე გუნდმა გამოამჟღავნა კარგი ფიზიკური მომზადება და მონდომება. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. ანგარიში არ გახსნილა კარგა ხანს შესვენების შემდეგაც, მაგრამ შეხვედრის დასასრულს ლანჩხუთელები შესამჩნევად დაიღალნენ და მათ კარში გატანილ იქნა ზედიზედ 3 „მშრალი“ ბურთი.

დღეს მეორე ფინალისტის გამოსავლენად შედგება მატჩი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდსა და ბათუმის „დინამოს“ შორის.

☆ ☆

გაიმართა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის.

I ზონა. „განთიადი“ (წყალტუბო)-„ცისკარი“ (ბათუმი)—2:3, „იმერეთი“ (ზესტაფონი)-სას. სამ. ტექნ. (დიდი ჯიხაიში)—4:1, წულუკიძე (ნაკრება)-ადგ. მრეწვ. სამმ. (ქუთაისი)—6:0.

II ზონა. „კოლმეურნე“ (ოჩამჩირე)-გუდაუთა — 4:3, „სპარტაკი“ (საჩხერე)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 2:0, „კოლმეურნე“ (გალი)-სამშ. სამმ. №2 (გაგრა) — 1:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური)-„განთიადი“ (ტყვარჩელი) — 3:1, გუდაუთა-„კოლმეურნე“ (ოჩამჩირე) — 1:0, „სპარტაკი“ (ცხაკაია) — „კოლმეურნე“ (ოჩამჩირე) — 1:1.

III ზონა. „ლოკომოტივი“ (ხაშური)-ადგ. მრეწვ. სამმ. (თბილისი) — 0:2, „კოლმეურნე“ (გურჯაანი)-„ჩანჩქერი“ (ბორჯომი) — 0:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — ახ. საფეხ. სკოლა II (თბილისი) — 2:1.

IV ზონა. „ლოკომოტივი“ (გურჯაანი)-შახტი №1 (ახალციხე) — 1:2, სკვო I (თბილისი)-„კოლმეურნე“ (ქარელი) — 7:0, „მშენებელი“ (რუსთავი)-სკვო I (თბილისი) — 0:0.

შედგა ორი მატჩი პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. ბათუმის „დინამომ“ განიცადა მარცხი მახარაძის „კოლმეურნესთან“ შეხვედრაში — 1:3, ხოლო ლანჩხუთის „კოლმეურნისა“ და რუსთავის „სხივის“ შეხვედრა დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 1:0.

8 : 2

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. მასპინძლები შეხვდნენ ასტრახანის „ტრუდს“.

ძალთა შეფარდება აშკარად არათანაბარი იყო. თბილისელი ფეხბურთელები აშკარად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს ყველა ხაზში და მთელი თამაშიც მათი აბსოლუტური უპირატესობით მიმდინარეობდა. ამას დაემატა ისიც, რომ „ტრუდის“ მეკარე ნოვიკოვი უაღრესად სუსტად იცავდა კარს. მან ვერ შეძლო თითქმის ვერც ერთი ასე თუ ისე ძლიერად დარტყმული ბურთის აღება და პირველ ტაიმში იაშვილმა, ზეინკლიშვილმა და ავაქოვმა სამი ბურთი გაიტანეს.

შესვენების შემდეგ ურთქმელიძემ (2) ჩიჩუამ და ზეინკლიშვილმა (2) ანგარიში 8:0-მდე აიყვანეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუმრებს უკვე აღარაფერი ჰქონდათ დასაკარგი, ისინი გადავიდნენ იერიშზე და გრუდინმა (№ 7) ზედიზედ ორი გოლი გაქვითა.

მატჩი მოიგო თბილისის „ბურევესტნიკმა“ ანგარიშით 8:2.

პორტოროჟის ტურნირი

მე-14 ტურში ყურადღებას ცენტრში იყო საბჭოთა გროსმაისტერების ბრონშტეინისა და პეტროსიანის პარტია. პეტროსიანმა ახალინდურ დაცვაში შეცდომა დაუშვა და მძიმე პოზიცია მიიღო. შემდეგში ბრონშტეინმა ორჯერ გაუშვა ხელიდან მოგების შანსები და პეტროსიანმა მთლიანად გაათანაბრა მდგომარეობა. თუმცა ბრონშტეინმა უარი განაცხადა ყაიმზე, მაგრამ გადადებულ პოზიციაში მას არა აქვს უპირატესობა. ყაიმზე შეთანხმდნენ ავერბახი და ტალი, ნეიკირხი და მატანოვიჩი, გლიგორიჩი და ფილიპი. ოლაფსონმა, რომელსაც ფიდე-ს კონგრესმა გროსმაისტერობა მიანიჭა, ხელთ იგდო ინიციატივა ლარსენთან და მორიგი გამარჯვება მოიპოვა, საბომ დაამარცხა როსეტო, ბენკომ—დეგრეიფი, პანომ—სანგინეტი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

14 ტურის შემდეგ ტალს აქვს 9,5 ქულა, პეტროსიანს—9 ქულა და ორი გადადებული პარტია, ავერბახსა და ოლაფსონს 8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია.

„დინამო“ ევლანეთში

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა, რომელიც სტუმრად იმყოფება ევლანეთში, 29 აგვისტოს ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა განათლების სამინისტროს ნაკრებ გუნდთან.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 77:35.

მკითხველთა სიგნალები

მუშაობა ჩამლილია

აბაშის რაიონის სოფელ ეწერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში არავითარი ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. უმოქმედოდ არიან ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები, არ ზრუნავენ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაზე. ძირეული კოლექტივის საბჭო ფორმალურად არსებობს, რის გამო რაიმე ღონისძიების ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საინტერესოა, რატომ არ გვიწევს დახმარებას „კოლმეურნის“ რაისაბჭო?

რ. ჭანტურია

✦

მხოლოდ დაკირვება

ქარელის რაიონის სოფელ დირბის ახალგაზრდებს შარშან საშუალება ჰქონდათ სამუშაოდან თავისუფალ დროს ევარჯიშათ სპორტში. მიმდინარე წელს კი ერთადერთი სპორტული ბაზა — ფეხბურთის მინდორი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ა. ბერიძის განკარგულებით საქონლის საკვების ზვინების ადგილსამყოფელად გადააქციეს.

მართალია, კოლმურნეობის თავმჯდომარე ახალგაზრდებს დაპირდა სამაგიერო მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და ბაზის მოწყობას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. დირბელი ახალგაზრდები მოკლებული არიან წვრთნას.

მ. ხარატიშვილი

✦

ერთი მაგიდა

თელაველი ფიზკულტურის მესვეურების ძირითად საზრუნავს ფეხბურთის გუნდი შეადგენს, რომელიც საქართველოს პირველობაზე მონაწილეობს. სპორტის სხვა სახეობათა განვითარებაზე კი აქ მაინცდამაინც არავინ ზრუნავს. უკანასკნელ ხანს საკმაო პოპულარობა მოიპოვა მაგიდის ჩოგბურთმა, მაგრამ ერთადერთი, ისიც მწყობრიდან გამოსული მაგიდა, ვერ აკმაყოფილებს თამაშის მსურველთა მოთხოვნილებას. ის კი არა, მას შესაფერი ბინაც ვერ მოუძებნეს და ღია ცისქვეშაა მიგდებული. მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან ძალლსნები, რადგან მათ მეცადინეობის ადგილს ყოველდღე უცვლიან, რაც უარყოფითად მოქმედებს წვრთნის ხარისხზე.

ნ. ცერცვაძე

ჩვენ ვიდოგინეთ ჭაღარეჭესა და რაჭიონეგში

ქარელი

რაიონის პირად პირველობაზე მონაწილეობდნენ ქარელის, ბრეთის, რუისის, ამბისის, ზღუდრის, ღვლევისა და აგარის მოჭიდაველები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ბურჯანაძემ, ჯაფიაშვილმა, თედიაშვილმა, მინდიაშვილმა, გაგლოევმა, საათაშვილმა და ცხოვრებაშვილმა.

გ. ხარატიშვილი

ცხაკაია

აქ ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიონული თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში. პირველი ადგილი და გარდამავალი თასი წილად ხვდათ ცხაკაიელ სპორტსმენებს (მწვრთნელი შ. ჩიკვაიძე).

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს მ. ესებუამ (ცნობილი ქართველი ფალავნის ნესტორ ესებუას შვილიშვილმა), რ. ჭანტურიამ, ა. სანიკიძემ, ა. ხვიჩიამ, ნ. ბესელიამ, ხ. გვარამიამ, მ. ძაძამიამ, გ. ბეალავამ, შ. ჩიკვაიძემ.

გ. შენგელია

გურჯაანი

დამთავრდა შეჯიბრება ფეხბურთში რაიონის თასზე, რომელშიც მონაწილეობდა 17 გუნდი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჭანდრის კოლმეურნეობისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ჭანდრელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 2:1.

ი. ოდიშელიძე





მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ ლატვიისა და ესტონეთის ჭაბუკთა და გოგონათა კალათბურთელთა გუნდები ეწვიენ ჭიათურას, სადაც ადგილობრივ გუნდებთან ჩაატარეს ამხანაგური მატჩები.

სურათზე: თამაშის მომენტები.

ფოტო ი. ხარატიშვილისა

ცხენოსანთა შეჯიბრება

ჩოხატაურის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტმა [illegible] წყო შეჯიბრება [illegible], რომელიც ტრადიციულად იმართება კურორტ ბახმაროს იპოდრომზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მახარაძის, ხულოსა და ჩოხატაურის რაიონების სპორტსმენები.

დოღში 2 კილომეტრზე გაიმარჯვა მახარაძის რაიონის ბახვის კოლმეურნეობის წევრმა შ. ჯაველიძემ. 4-კილომეტრიან დოღში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ჩოხატაურელებმა ს. მჟავიამ და კ. გიორგაძემ.

საინტერესოდ ჩატარდა მარცხა 8 კილომეტრზე. ცხენოსნები ბოლო წრემდე ჯგუფად მიაგელვებდნენ ცხენებს, შემდეგ ჯგუფს გამოეყო ჩოხატაურელი ლ. ბერძენიშვილი, მაგრამ ზედ ფინიშის ხაზთან მას გაუსწრო ხ. აბაშიძემ (ხულოს რაიონი) და დაიკავა პირველი ადგილი.

გ. ახალაია

სპორტული პრესის სექციის პლენუმზე

მოსკოვში მუშაობა დაამთავრეს საბჭოთა კავშირის სპორტული პრესის სექციის პლენუმმა, რომელშიც მონაწილეობენ ცენტრალური და მოსკოვის გაზეთების, ჟურნალების, საკდესის, გამომცემლობების, რადიოსა და მოძმე რესპუბლიკათა პრესის წარმომადგენლები.

მოხსენებით „აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენთა შორის და საბჭოთა პრესა“ გამოვიდა „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი ვ. ა. ნოვოსკოლცევი.

სექციის თავმჯდომარემ, ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა პ. ა. სობოლევმა წაიკითხა საანგარიშო მოხსენება. მანვე აღნიშნა, რომ საბჭოთა სპორტული პრესის სექცია მიღებულია სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრად, რომ საბჭოთა ჟურნალისტები უკვე მონაწილეობდნენ ასოციაციის ორ გენერალურ ანსამბლეაში — ბელგიასა და შვეიცარიაში.

შემდეგ სობოლევმა ილაპარაკა რესპუბლიკების სპორტული პრესის სექციათა ამოცანების შესახებ ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის მზადების საქმეში.

წიგნი გამოჩენილ ქართველ მოგზაურებზე

ძველი ქართული ძეგლები და აღწერილობანი საინტერესო მასალას იძლევიან ჩვენს წინაპართა გეოგრაფიული ჰორიზონტისა და აზროვნების დასადგენად. როგორც ცნობილია, ძველი ისტორიული ლიტერატურული ძეგლები მთელი რიგი გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს შეიცავენ, რაც ჩვენი წინაპრების მაღალი გეოგრაფიული ერუდიციისა და ქართული გეოგრაფიული აზროვნების მაჩვენებელია.

ამას წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გ. ზარდალიშვილის ნაშრომი „გამოჩენილი ქართველი მოგზაურები“.

როგორც ავტორი მოგვითხრობს, ქართული გეოგრაფიული აზროვნების საწყისებად უნდა მივიჩნიოთ უძველესი პერიოდი. ცნობილია, რომ ძველთაგანვე საუკეთესო ზღვაოსნებს — კოლხებს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული საბერძნეთთან, რომთან, სკვითებთან.

შემდეგ ავტორი გადადის საშუალო საუკუნეების ისტორიულ ლიტერატურული წყაროების მონაცემების დახასიათებაზე და ამბობს, რომ ძველ ქართველთა გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს სავაჭრო ურთიერთობის განვითარება შორეულ ქვეყნებთან და მათკენ მიმავალი გზების კარგი ცოდნა.

ნაშრომში მოტანილია საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველები XI საუკუნემდე იცნობდნენ და დამყარებული ჰქონდათ კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობანი ინდოეთთან, არაბეთთან, რუსეთთან და აზიის სხვა ქვეყნებთან.

სარეცენზიო ნაშრომში განხილულია აღორძინების ხანის ის მოღვაწეები და მოგზაურები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს და გაამდიდრეს ქართული გეოგრაფიული აზროვნება და ლიტერატურა.. ასეთებია: ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი, რაფიელ დანიბეგაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე დადეშქელიანი.

ნაშრომს დართული აქვს რუკები, რ. დანიბეგაშვილის, ს. ორბელიანის, თ. ბატონიშვილის, ტ. გაბაშვილისა და ი. გედევანიშვილის მოგზაურობათა მარშრუტები.

გ. ზარდალიშვილის ნაშრომი „გამოჩენილი ქართველი მოგზაურები“ მკითხველს აცნობს საინტერესო მასალას ქართული გეოგრაფიული აზროვნების შესახებ.

ი. გაბაშვილი

პრინციპული გადაწყვეტილება

პეკინი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ცნო ჩან კაი-შის სპორტული ორგანიზაციები ტაივანზე და მიიღო იგი თავის შემადგენლობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა გამოვიდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობიდან.

როგორც სინხუას სააგენტო იტყობინება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჩან ლიანხუმ 20 აგვისტოს ჩინეთისა და საზღვარგარეთელ კორესპონდენტთათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ჩინეთი გამოდის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც, რამდენადაც მათ უკანონოდ აღიარეს ტაივანის სპორტული ორგანიზაციები.

პირველად საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც ბრენდეჯის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, წინააღმდეგობა გაუწია ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო აღიარებას. შემდეგ კი იძულებული შეიქნა ეცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტი. მაგრამ ბრენდეჯი კვლავ მ

-ართავდა გაუგონარ მეთოდებს. ყოველგვარი განსჯისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების გარეშე ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების სიაში შეტანილ იქნა ე. წ. ჩან კაი-შის ხროვას „სრულიადჩინეთის ფიზკულტურისა და სპორტის ასოციაცია“, რომელიც დიდი ხანია მოწყვეტილია 600-მილიონიან ჩინელ ხალხს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, პროფესორმა ტუნ შოუ-იმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს ითანამშრომლოს ბრენდეჯთან და წყვეტს ყოველგვარ კავშირს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, იგი კავშირს და თანამშრომლობას განაახლებს მხოლოდ მაშინ, როცა ოლიმპიური კომიტეტი გამოასწორებს თავის შეცდომებს და უარს იტყვის ჩანკაიშული სპორტული ასოციაციის აღიარებაზე.

ფიზკულტურისა და სპორტის სრულიადჩინეთის საზოგადოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მართალია, ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტი ამჟამად არ ცნობს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და გამოვიდა მისი შემადგენლობიდან, მაგრამ ჩინეთის 600-მილიონიანი მოსახლეობა კვლავინდებურად მიისწრაფის კავშირის განმტკიცებისაკენ ყველა ქვეყნის სპორტულ წრეებთან.

კრიტიკის ქარცეცხლში

ინგლისის ნაკრებმა გუნდმა მსოფლიოს VI ჩემპიონატში დიდი მარცხი განიცადა. მან არა თუ არ დაიკავა პირველი ადგილი, როგორც ამას სპეციალისტთა დიდი ჯგუფი წინასწარმეტყველებდა, არამედ ოთხი შეხვედრიდან ვერც ერთი ვერ მოიგო და მსოფლიოს რვა უძლიერეს გუნდშიც კი ვერ მოხვდა. ნაწილობრივ წარმატებას ინგლისელებმა მხოლოდ მსოფლიოს ახალ ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან მიაღწიეს, რომლებმაც 90 წუთის განუწყვეტელი იერიშების [illegible]უხედავად ვერ შეძლეს მატჩის მოგება. მაგრამ ამ ფაქტს გუნდის დიდი წარუმატებლობის ფონზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ინგლისს ყოველთვის ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელები ჰყავდა. ომის შემდეგ ამ პოსტზე წარმატებით თამაშობდნენ ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ტ. ლაუტონი, ტ. ფინეი, ნ. ლოფჰაუსი და ტ. ტეილორი. ტეილორის დაღუპვის შემდეგ თავდასხმის ლიდერობა მიენდო ახალგაზრდა დ. კევანს, რომელმაც საერთო აზრით, თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას.

გუნდის კაპიტანი, ცენტრალური მცველი ბ. რაიტი უკმაყოფილოა: „ჩვენთვის მუდმივ ამოცანას შეადგენდა ის, თუ რა ნიშნის მიხედვით ხდებოდა ნაკრების დაკომპლექტება, რატომ არ იქნა შეცვლილი კევანი, რომელმაც თავისი უაზრო გადანაცვლებით გაიფუჭა თავდასხმის თამაში“, შემდეგ რაიტი აღნიშნავს, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ანგარიში არ გაუწია არც მიმომხილველთა სწორ შენიშვნებს და არც მოთამაშეთა განწყობილებას.

მარცხენა გარემარბი ტ. ფინეი, რომელიც პირველი მატჩის შემდეგ ტრავმის გამო ჩემპიონატში აღარ მონაწილეობდა, უინტერბოტომს უსაყვედურებს თავდასხმის ხუთეულის არასწორად შედგენას. ფინეის აზრით ინგლისში ბევრი ისეთი თავდამსხმელია, რომლებიც აშკარად სჯობნიან უინტერბოტომის მიერ ნაკრებში შეყვანილ ფეხბურთელებს. მას ემხრობა „დეილი ექსპრესის“ მიმომხილველი — ჰაკეტიც. ფინეი წერს, რომ უკანასკნელ წლებში ინგლისურმა ფეხბურთმა გადაიღო ყოველივე ის დადებითი, რაც კი აქვთ კონტინენტის წამყვან გუნდებს. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ მ. ბასბის. მაგრამ მიუნჰენის საჰაერო კატასტროფის შემდეგ ინგლისის ფეხბურთის მესვეურებმა გადაუხვიეს სწორ გზას და გაუთავებელი ექსპერიმენტები დაიწყეს, რამაც დაღი დაასვა ნაკრების თამაშს მსოფლიო ჩემპიონატში.

დ. ჰაკეტს გაუგებრად მიაჩნია ის ამბავი, რომ მწვრთნელმა არც ერთხელ არ ათამაშა ისეთი ფეხბურთელი, როგორიც 20 წლის ბ. ჩარლტონია. მიმომხილველებში დიდ ეჭვს იწვევს უინტერბოტომის განცხადება, თითქოს ჩარლტონი არ იყოს „90 წუთის კაცი“. დ. ჰაკეტს მეტად მოძველებულად მიაჩნია ნაკრების წვრთნის მეთოდები, გუნდის ტაქტიკა.

„ნიუსქრონიკლი“ და „დეილი ექსპრესი“ მოითხოვენ ინგლისის ახლანდელი ნაკრების შემადგენლობის საფუძვლიან გადახალისებას. შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაზეთები ჯერჯერობით არაფერს წერენ თავიანთი ნაკრები გუნდების შესახებ. ინგლისის გაზეთების ცნობით, ფეხბურთის სეზონის დაწყებასთან ერთად მოსალოდნელია დიდი საერთო დისკუსიის დასაწყისი მსოფლიო ჩემპიონატის გარშემო.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის 3—89—62, მდივნისა და განყოფილებების 3—90—34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03500